ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1408719

ნომერი: AR1239097

თარიღი : 22.07.2014

გაცემის თარიღი : 30.07.2014

გაცნობის თარიღი : 30.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კნიაზ დასენი პ/ნ 01025003374
- კედიას ქ. 3, ბინა 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 22 ივლისის #AR1239097 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე კნიაზ დასენმა და მოითხოვა ქ. თბილისში, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.08.034.008) კომერციული ობიექტის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

წარმოდგენილ მიწისნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარებისგენერალური გეგმის გრაფიკულინაწილის–რუკის, მიხედვითვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისადა განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისშესახებ" ქალაქ თბილისისსაკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). ამ წესების შესაბამისად კომერციული შენობა–ნაგებობის მშენებლობა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში ნებადართული არ არის.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე კნიაზ დასენს ქ. თბილისში, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.08.034.008) კომერციული ობიექტის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.